სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/05

ქ. თბილისი 11 თებერვალი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საგრანტო პროექტის „საინჟინრო საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივი შემუშავება და განხორციელება დისტანციური ლაბორატორიების გამოყენებით" ფარგლებში შეძენილი და უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ზოგიერთი აღჭურვილობის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 6 თებერვლის №0000118791 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 11 თებერვლის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ საგრანტო პროექტის „საინჟინრო საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივი შემუშავება და განხორციელება დისტანციური ლაბორატორიების გამოყენებით" ფარგლებში, საგრანტო ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულება #CIF-2-2024-03), შეძენილი და უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული დანართი 1-ით გათვალისწინებული ზოგიერთი აღჭურვილობის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის

სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის გადაცემის შესახებ, შესაბამისი კომპიუტერული ინტერაქტიული კლასების მოწყობის მიზნით;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**